

ნეშადური



№ 13.

ეკველკვირული ჟურნალი

1907 წ.

სომხების გამოჩენილი მწერლები და მოღვაწენი.

საქართველოს წარსულიდან.



ჭაირიკ, მკრტიბ I ხრეშიანი. † 29 ოქტომბ. 1907 წ.



დარეჯან დედოფალი.


მეფე ერეკლე II მეუღლე.


გარდაიცვალა პეტერბურგში 9 ნოემბერს 1807 წ.

უპარტიო პარტიოება.

ამას წინად დავესწარი ახალგაზდა კაცებისა და ქალების კრებას, რომელსაც მიზნად ჰქონდა კავშირის შედგენა. ერთ დამსწრეთაგანს უნდა წარმოეთქვა სიტყვა საზოგადოდ კავშირის მნიშვნე-

ლობისა და კერძოდ უპარტიო და სხვა-და-სხვა ეროვნების წარმომადგენელთა კავშირის შესახებ. მოლაპარაკეს სიტყვა გააწყვეტინეს, საგანი პრაქტიკულ ნიადაგზე გადაიტანეს, ესე იგი, კავშირის მნიშვნელობა და ამისი საზოგადო კაცობრიული და არა ნაციონალური შინაარსი, იმისი ეგრედწოდებული ინტერნაციონალიზება უკვე გამოკვეთულად აღიარეს და შეუდგენენ სჯა-ბაასს იმის შესახებ, თუ როგორ განახორციელონ, როგორ მოაწყონ თვით კავშირი, როგორ გაინაწილონ საქმე,





დაჯერონ ესა თუ ის გვამნი, კავშირში მონაწილეობა მიაღებინონ და სხვ. და სხვ.

ყურადღებით ვისმენდი სჯა-ბაასს და სწორედ მოგახსენოთ სევდა მომეფინა გულს. თვალ-წინ გადამეშალა ამ დროინდელი ფრიად საგულისხმიერო სურათი: ხელ-ფეხის მოძრაობის წყურვილი და გონების უძრაობის წადილი.

ცხარე ბაასი სწარმოებდა იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყონ კავშირი, იმ დროს, როცა თვით მიზანი და შინაარსი კავშირისა გამოურკვეველი დარჩა.

რადგან კავშირში სხვა-და-სხვა ეროვნების წარმომადგენლნი უნდა შესულიყვნენ და ამავე დროს იგი უპარტიო უნდა ყოფილიყო, ჩემის აზრით ყველა ეს, როგორც ახალი და საყურადღებო მოვლენა, განსაკუთრებით დიხჯ და სერიოზულ დაკვირვებას თხოვლობდა. ხოლო სინამდვილემ სრულებით სხვა რამ დაგვანახვა. სჯა-ბაასი დაემორჩილა იმ ფიზიკურ კანონს, რომლის ძალით თვითეული მოძრაი სხეული ან საგანი იმ გზით მიიშართება, სადაც ნაკლები დაბრკოლება დახვდება გზაზე, რუსები რომ იტყვიან—*ВЪ СТОРОНУ НАИМЕНЬШАГО СОПРОТИВЛЕНІЯ*. მაგალითად, ქვა რომ გადაავდოთ და გზაზე კედელს ან ხეს მოხვდეს, იგი ამ დაბრკოლებას ასცდება, უკუ-იქცევა და იქითკენ გაემართება, სადაც გზა თავისუფალია და წინ არაფერი არ გადაელობება.

ამ კრებაზედაც, როცა სჯა-ბაასი სერიოზულ საგანზე დაიწყო, იგი გაუგებრობის კედელს მოხვდა, უკუ-იქცა და ცარიელი პრაქტიკული მოძრაობის მიმართულება მიიღო. ამაში, ჩემის აზრით, გამოიხატა, ჩვენი დროს საყურადღებო მოვლენა: შიში გონების ვარჯიშობისა და ხალისი ხელ-ფეხის მოძრაობისა.

თუმცა კავშირმა თავის მიზნად უპარტიობა, პარტიის გარეშე ყოფნა დაისახა, მოლაპარაკეთ იმ თავითვე დაეტყო ხანგრძლივი გარეგნულ-პარტიული ვარჯიშობის გავლენა. ვინ არ იცის, რომ ჩვენში პარტიობას უმთავრესად გარეგნული, უშინაარსო ხასიათი აქვს. მეთაურები წელებზე ფეხს იდგამენ, გაფაციცებთ სკდილობენ გარეგნული საშუალებით თავის წრეში რაც შეიძლება მეტი ხალხი შეიტყუონ. მათი რწმენით, ყველაფერ საქმეში ადამიანთა სიმრავლე ყველაზე უმაღლესად დასაფასებელია, და არა ადამიანთა შინაგანი ღირსება. სხვა-და-სხვა სჯულთა და ეკლესიათა ცრუმორწმუნე მიმდევართა მზგავსად, ისინიც ფიქრობენ, რომ ღმერთი ყოველთვის კენჭის ყრას უცდის და უმრავლესობას ემხრობა. უეჭველად იქითკენ გადადის, სადაც მეტი ხალხი ეგულება. ამ მეთაურების თვალში ასი სულელი მეტად დასაფასებელია

ცხოვრებაში, ვიდრე ერთი ჭკვიანი ადამიანი, რადგან სულელს ადვილად დაიყოლიებენ, ჭკვიანთა კენჭის დაჭერა კი საძნელო „სახლაფორთხი“

ამიტომაც პარტიობაც ჩვენში ყოველთვის რაც შეიძლება მეტ ხალხის შეძენას უდრის. ჩვენგან მოთხოვნილ შემთხვევაშიაც, აღიძრა თუ არა ლაპარაკი კავშირის მიზნისა და შინაგნობის შესახებ, პარტიულ ვარჯიშობა-„დისციპლინა“ გამოვლილმა მეთაურმა ვაჟბატონებმა სჯა-ბაასი სერიოზულ კალაპოტს ააცდინეს და „ავიტაცია-ორგანიზაციაზე“ ჩამოაგდეს მსჯელობა. ამიტომაც კრებას იმ თავითვე დაეტყო „პარტიული უპარტიობა“, ძველ ტიკში ჩასხმული ვითომ და ახალი ღვინო.

რასაკვირველია, ამ კარგად ცნობილ და უკვე საკმაოდ გაცვეთილ ტიკში ბევრი ნახვრეტი აღმოჩნდა, რომლებშიაც ახალი აზრი გაიპარა და ცარიელი ძველი ტყავი-ლა დარჩა.

კრებაზე დამსწრე შეგნებული უმცირესობა ჩვეულებისამებრ სდუმდა, სანამ უფრო გაბედულმა, გულ-წრფელმა და ბავშვივით ალალი გულის პატრონმა ერთმა ახალგაზდა ქალმა არ დაარღვია სიჩუმე და ცხარე სჯა-ბაასის ფუქსავატობა არ აღმოაჩინა. „თქვენ ეს რამდენიმე საათია „ავიტაცია-ორგანიზაციაზე“ მსჯელობთ, მე კი, სწორედ მოგახსენოთ, თვით კავშირის მიზანი და დანიშნულება ვერ შემიგნიაო,—სთქვა მან.

ამ გაბედულ ქალს, ჩვეულებისამებრ, სხვები, უფრო მოშიშარნი, მიემხრენ და სავსებით გამოირკვა ყველა შეგნებულ დამსწრეთათვის, რომ მეთაურები ტიკებს ჰბერავდენ, ღვინო კი არსად სჩანდა.

ილია ნაკაშიძე.

მასვე მიუზღე.

მჩაგვრელის ფეხით ნასრესო გულო, კნესა—ტირილი, გლოვა იკმარე, ეს უღმობელი შავი ღრუბლები შემოიწმინდე, ვადაიყარე.— ვითა ვაჟკაცმა, შემოიხიე გლოვის სუდარა, სულის სიმწარე, და ვინც შენ გიძღვნა ეს დიდი ტანჯვა თვითონ იმასვე გადააფარე!

ი. მჭედლიშვილი.

ბედი არ გვიწმირია.

(ნაციონალისტის გოდება.)

იესომ სთქვა: „არა ეკალთაგან შეჰკრიბიან ღვლვი, არცა მაყვალთაგან მოისთვლიან ყურძენი,“ რადგან „ვერ ხელეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად და არცა ხესა ხენეშისა ნაყოფი კეთილი ყოფად.“

და არა მარტო კეთილი ხე, კაცის კეთილი განზრახვა და შრომა ნაყოფსაც კეთილს გამოიღებს.

ასეა ყველგან სოფლის დასახამიდან, გარდა ბედ-შავის საქართველოსი. ჩვენი ცხოვრების წალკოტში ბუნების წესი შეიცვალა: ლელვის ხემ კუროს თავი მოისხა და ვაზმა მაყვლი. ვერც ერთმა ჩვენმა კეთილმა წადილმა და ცდამ სანატრელი ნაყოფი ვერ გამოიღო.—აჰა, თუ არა:

სამასი წელიწადი ვევედრებოდით რუსეთს: „გვიხსენ თათრებისაგან, მოგვეც მშვიდობიანობა და წესიერებაო.“ ისმინა რუსეთმა ჩვენი თხოვნა და გვიპატრონა. ახლა, ასის წლის პატრონობის შემდეგ, არც წესი გვაქვს, არც მშვიდობიანობა. პატრონები მტრებად გავვიხდნენ და ჩვენც ლამის შეგვექნას სინანული: „ნეტა ისევ თათრების ხელში დავრჩენილიყავითო!..“

ასი წელიწადი ვევედრებოდით მთავრობას: თქვენი ერთგული ყმები ვართ. წაიღეთ ჩვენი ოფლი და სისხლი, ოღონდ ქართველობას ნუ დაგვიშლითო.“ ასის წლის დენისა და შევიწროების შემდეგ, გვიბძანეს: „ჯანი გავგარდესთ, შეირჩინეთ თქვენი ქართველობა!“—ჩვენ კი ვიძახით: „ძირს ქართველობა! ძირს ნაციონალიზმიო!“

ორმოცი წელიწადი ვთხოვდით მთავრობას: „ერობა გვიბოძეო.“—მოტრიალდა ცხოვრების ჩარბი და ერობის კი არა, ავტონომიის კარს დაგვაყენა. ჩვენ კი ვიძახით; „არ გვინდა ავტონომია, სომხები და ოსები დაიჩაგრებიანო. ცენტრალიზმს გაუმარჯოსო!“

ორმოცი წელიწადი იღვწოდა ილია, რომ ქართველი ინტელიგენცია შექმნა და საქართველო ევროპული კულტურის გზას დაეყენებინა. ჩვენ კი სამაგიეროდ გულში ტყვია ვკარით: ხალხის მყვეფელი ხარ და ჯაშუშიო.

ორმოც და ათი წელიწადი აკაკი სამშობლოს სიყვარულს ლექსით და პროზით გულში გვინერგავდა, ჩვენც გადაუხადეთ მოხუცს მგოსანს მაღლობა: მამულიშვილობა ხულიგანობის სწორად გავხადეთ.

ასი წელიწადი ვაყვედრებდით სამღვდლოებს: „საქართველოს ეკლესია მთავრობას მიჰყიდეთ ჯამაგირის გულისათვისაო.“ ძლივს შერცხვათ მღვდლებს და მოინდომეს ეკლესიის განთავისუფლება. ჩვენ კი ზურგი შეუქციეთ: არც თქვენი ავტოკეფალია გვინდა, არც თქვენ გვინდისხართ და არც თქვენი ღმერთიო.

თხუთმეტი საუკუნე ვებრძოდით მაჰმადიანებს და ზღვის ოდენა სისხლი დავღვარეთ, რომ ეკლესიები და მონასტრები შეგვენახა. ძლივს დავიხსენით მაჰმადიანებისაგან, ჩაუგდეთ ეგზარხოსებს ხელში და გავაძარცვინეთ. ახლა, როცა ფასიანი აღარა შერჩათ რა, ჩვენ მივყავით ხელი და ვტყვით ოხერ ეკლესია-მონასტრებსა.

ოც და ათი წელიწადი ვევედრებოდით მთავრობას: „ქართულად გვალოცვენეთო! მშვენიერად მაგისი ნება. მლოცველი კა აღარაგინაზომიქნება“

ორმოცი წელიწადი უმტკიცებდა ბ-ნი ი. გოგებაშვილი მთავრობას: ქართულს სკოლაში სწავლება რუსულად კი არა, ქართულად უნდა.—დაგვეთანხმა მთავრობა. ჩვენ კი აღარც ქართული სკოლის დამფუძნებელი გვყავს, აღარც შემნახველი.

ოც და ხუთი წელიწადი ამოად სთხოვდა მთავრობას წერა-კითხვის საზოგადოება: სკოლები გაგვახსნევინეო.—ძლივს უბოძეს დასტური. მაგრამ სადღა აქვს საზოგადოებას შეძლება ახალი სკოლების გახსნისა? ლამის ძველებიც დახუროს.

ოც და შვიდი წელიწადი სულ იმის იმედით ვიყავით, საკუთარი ქართული გიმნაზია გვექნებაო. უშველებელი ფული და შრომა შევალეთ ამ იმედს და, როცა საწადელს მივაწიეთ, აღარ ვიცით, ექნება ბანკს იმდენი მოგება რომ გიმნაზია შეინახოს, თუ არა?

შვიდი წელიწადია ბ-ნი ნ. ცხვედაძე უშენებს ქართულს გიმნაზიას სასახლეს. მაგრამ აქამდის გულდაჯერებულნი არა ვართ, გიმნაზიას გამოადგება ეგ შენობა, თუ ყაზარმად გახდის, ან კიდე სამაგალითო საპყრობილედ.

ორმოც და ათი წელიწადი ცენზურას უჩიოდით და პრესის თავისუფლებას ენატრობდით, „რათა მიეცეს ნიქს გზა ფართოო.“—გავგინსნეს ეგ გზა. ჩვენ კი ისევე ვთარგმნით წერილებს რუსულ გაზეთებიდან.

ოც და რვა წელიწადია მუდმივი სცენა დავიარსეთ. მაგრამ მას აქეთ ვერც თეატრი ავიშენეთ, ვერც ერთი ორგინალური პიესა შევიძინეთ და ვერც ერთი ახალი ნიქიერი მსახიობი გამოვზარდეთ; ძველები კი შიმშილით გვეხოცებიან.

ოც და ათი წელიწადი ველოდით, ჩვენი ბანკები თავად-აზნაურობას ფეხზე წამოაყენებენ და მის მეურნეობას ააყვავებენო. ამის ლოდინში თავდაზნაურობა მიწასთან გასწორდა და ვერც ბანკებმა იხიერეს.

ორმოცი წელიწადია, სავაქრო, სამრეწველო და სხვა საზოგადოებასა და ბანკებს ვაარსებთ. და რამდენიც დავაარსეთ, იმდენჯერ სამშობლოს გამდიდრება და გაბედნიერება დავიქადეთ, და ყველა ჩვენი დაწესებულება ღღე-მოკლე ან ღღე-ნაკლები გამოდგა.

რაკი ხელიდან არღა რა გამოგვივიდა, უკანასკნელი შეძლება შვილების აღზრდას მოვანდომეთ. წამოგვეზარდნენ შვილები, მაგრამ მათმა მახვილმა გონებამ ვერ მოინელა „ოფიციალური მეცნიერება“ და გვისხედან შინ უსაქმოდ ნიქიერი და უვიცი შვილები.



ილია ჭავჭავაძე.*)

(მოკლე ბანხილვა.)

„ჩვენა პოეტო, უღვთო იყო“

I

ტურფად ბიბინებს ალაზნის ველი. იგი წა-
აგავს დიდებულ ხალს ათასნაირად აფერადებულს.
შუაში მიუდის ლალი მდინარე; მის სარკოვან გუ-
ლში იმზირვის მორცხვად ვაზი და ქორფა ჯეჯი-
ლი. ამ საოცნებო ბუნებას ზეიდან უღიმის ფირუზა-
ცა, ცივ-გომბორის მთები კი უაღერსებს მას ზე-
ფირის ფრთებით.

ამ საქართველოს ტურფა ედემში 27 ოქტომ-
ბრის საამურ დილას მოველინა ქვეყანას პაწია
მგოსანი. აქ გაახილა ილიამ თვალი და იგემა დე-
დის ძუძუსთან სამშობლოს ტკბილი ჰაერი. ეს იყო
70 წლის წინათ.

20 წლის შემდეგ გიმნაზია დამთავრებული
ნორჩი პოეტი ტოვებს თავის საყვარელ კახეთს,
ესალმება თავის სოფლის მთებს და მიდის შორს
ცივს რუსეთისკენ. მას წყურია სწავლა, მისი სანა-
ტროა განათლებით აღჭურვა, რათა ამ ახალი
იარაღით შეებრძოლოს ცხოვრების უსამართლო-
ბას და შეიქნეს თავის ტანჯულ საქართველოს მედ-
როშეთ. ილია მიდის პეტერბურგს, მიისწრაფის
უნივერსიტეტში, მაგრამ თვალები უკან რჩება; მას
ენანება თავის ქვეყნის მოშორება, ყვარელის მთე-
ბის დატოვება. ნორჩი მგოსანი მიმართავს მათ:

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ
თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავი-
წყებასა,
თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელათ, ვით ჩემი
გული
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლე-
ბული!“...

უნივერსიტეტში ილია მხურვალეთ ეწაფება
მეცნიერებას; იმავ დროს მას უპყრია ხელთ ჩან-
გური და აქედრებს ტკბილ ჰანგებს. იგი უმღერის
სინაზით ტურფა გაზაფხულს, ის თარგმნის ლექსებს
და პოემებს, მაგრამ ყველაზე მეტად ის იგონებს
თავის სამშობლოს. პოეტის ფიქრი და ოცნება
ეაღერსება მუდამ თავის უბედურ საქართველოს;
მისი მგზნებარე გული ივსება სევდა-კაეშნით. იგო-
ნებს დიდებულ წარსულს, გოდებს აწყუოხედ.
სტუდენტი ილია მიმართავს ქართლის დედას:


„ქართლის დედაო! ძუძუ ქართლისა
უწინ მამულსა უზრდიდა შეილსა,

*) ეს შრომა ავტორმა წაიკითხა ქუთ. ქართულ გი-
მნაზიაში ილიას სახელზედ გამართული სალიტერატურო
დილაზედ 27 ოქტომბერს.

რად გაგვიცრუვდა ასე ჩვენი იმედები და რად
დარჩა ამოა ყოველი ჩვენი ცდა? ვისი ბრალია?—
ზოგი რუსებს აბრალებს, ზოგი სომხებს, ზოგი ბედს
და ზოგიც თავის თავს. . მაგრამ ვინც თავის თავს
აბრალებს, ისიც არ გაანძრევს ხელს, რომ გვეშვე-
ლოს რამე.

ასე დავძაბუნდით.

რიშ ბაბა.



9 გიორგობისთვეს, სვლამოთი გაზ-
დაიცვალა

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე.

დასაფლავება მოხდება დღეს, ხუთშაბათს
შიო მღვიმის მონასტერში

როდის იქნება?.....


როდის იქნება ცხოვრება,
ცხოვრებას ემსგავსებოდეს,
და უძღური, რომ ძლიერსა
ალარ ემორჩილებოდეს?...

როდის იქნება რომ კაცი,—
კაცისგან არა კვდებოდეს,
ერთმანეთისა ღალატი,
სწყენდეს და ეძაგებოდეს?

როდის იქნება ნაშრომი
თვით მშრომელს რომ ხმარდებოდეს,
მუშისა ოფლი და ჯანი
გროშად არ იყიდებოდეს?.

როდის იქნება, რომ ხალხი--
ტყვე-მონათ არ ითვლებოდეს,
კაცის პირადი ღირსება—
ფხვს ქვეშ არ ითვლებოდეს?...

ა. თალაკვაძე.



დედის ნანასთან ქვითინი მთისა
 მას უმზადებდა მომავალ გმირსა...
 გაჰქრა ის დროცა!... დიდმა ნაღველმა,
 კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა
 სრულად მოგვიკლა სიცოცხლის ძალა,
 თვით შენი შეილიც ჩრდილად შესცვალა.
 მითხარ, -სადღა მამა-პაპური
 მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,
 სახელისათვის ამაყი თრთოლა,
 მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?...

ამავე დროს ძვერს იმედოვანი ჰანგი. პოეტი მიმართავს იმავ ქართლის დედას:

— „აღზარდე შეილი, მიეც ძალა სულს,
 საზრდოთ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
 შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
 ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,
 რომ სიკეთისთვის გული უთარდოდეს
 და მომავლისთვის ბედთაა ბრძოდეს“...

სამშობლოსადმი უზენაეს სიყვარულს საუცხო-
 ვოთ გვიხატავს ილიას „ნანა“. ქართველის დე-
 და უგალობს პაწია შეილს:

„მოვა დრო გაიზრდები,
 მკლავი გაგიმაგრდება,
 შეილო, ყრმების სიხმრები
 ბრძოლაზე გაგეცვლება ..
 ნახავ ჩვენს ბედშობას,
 ჩვენს ერთობას დაკარგულს,
 ჩვენსა წამხდარს გმირობას
 და მამულს დაობლებულს...
 აინთე ცეცხლით გული,
 მტერსა დაეცი მეხად,
 ან ვით შეილი ერთგული
 დააკედი მამულს მსხვერპლად!...
 იცოდე, ეგ სიკვდილი
 მეტი დიდი რამ არი!
 უკვდავი არის შეილი
 მამულისთვის მომკვდარი!“...

მგოსანი არკვევს თუ რა უნდა იყოს პოეტის
 მოვალეობა ამ ქვეყნათ და პოეტის პირით ამბობს
 შემდეგს:

„დიდის ღმერთის საკურთხეველის
 მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
 რომ ერისა მოძმეთ ვიყო
 ჭმუნვასა და სიხარულში.“

ამ ლექსებით სრულიად გამოირკვა ილიას ნო-
 რჩი მუზის ელფერი და მიმართულება. აქ ნათ-
 ლად მომჭვირს **პოეტი-პატრიოტი**, უზენაესად გა-
 მკვალული სამშობლოს სიყვარულით, იმ დიადი
 გრძნობით, რომელიც ქმნის მომაკვდავს გმირად და
 ზეკაცად უბრალო ადამიანს. ეს დიადი გრძნობა

აფრთხილებს დიდსა და პატარას, ანთავისუფლებს
 ერებს მტარვალთ უღლიდან, ქმნის ეროვნულ პატრი-
 გრესს და ბადებს ისეთ დიდებულ პირობებს, როგორც
 იყვენ ფრანკლინი, ვაშინგტონი, მშინი, ვაშინგტონი,
 ლდი, კოშუტი, გამბეტა, პარნელი და სხვა, რო-
 მელთა უკვდავი მოღვაწეობა ამკობს ისტორიის კა-
 პადონს და რომელთა ხსოვნა დარჩება სამარადი-
 სოთ. ეს დიადი გრძნობა, ეს სამშობლოს სიყვა-
 რული სავალალოთ დღეს გამხდარა ჩვენში უმეცარ-
 ფანატიკოსთა მიერ ფეხქვეშ სათელად და სამასხა-
 როდ ..

ილიას ნაწერებში ყველაზე მძლავრათ და დი-
 დებულათ მამულიშვილურ გრძნობას გვიხატავს
 „დედა და შეილი“. 23 წლის მგოსანი იგონებს იმ
 დროს როცა პაწია საქართველო, ეს ამირან გმი-
 რი, უმკლავდებოდა აურაცხულ მტერთ და მის
 ფოლად გულზედ ინსხვრეოდაათას წლობით მქრო-
 ლავი აზიის ზარბაროსთა მკაცრი გრიგალი. ამ სა-
 შინელ დროს ქალიც კი ვადიოდა ბრძოლის ველ-
 ზე და თავის გირიული თავგანწირვით ამხნევებდა
 ქმარსა და შეილს.

ავტორს გამოყავს სწეული და სიკვდილის კა-
 რზე მდგარი მოხუცი დედა. წაქებულ ერს მოსწყუ-
 რებია თავისუფლება, ერი ამდგარა მტარვალთ კი-
 რთების დასაღეწათ, ქვეყანას ვარს მოხვევია მტე-
 რთა საწინელი ზვირთები, სამშობლო ითხოვს მსხვე-
 რპლს, სამშობლო იწვევს გმირებს, და, აჰა, ეს
 მომაკვდავიც იგლეჯს გულიდან თავის შეილს, თა-
 ვის ერთად ერთ ნუგეშს და გზავნის ბრძოლის ვე-
 ლზე. მოხუცი დედა ამბობს აღტაცებით:


„თუმცა სიცოცხლე სწეულთათვის წვალება არი,
 მაგრამ, ჰე ღმერთო, გმადლობ ამ დღეს რომ
 შემასწარი

და აქამომდე არ მოკვეთე ჩემი ცხოვრება;
 ჩემი მამული, საქართველო დღეს მიცოცხლდება.
 ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქ-
 მედობს,
 ერთი ზღვიდამა მეორემდე ერთ ფიქრსა ფიქ-
 რობს.

და ეს ფიქრია ჩვენი ქვეყნის თავისუფლება!...
 დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება!
 ერთი შეილი მყავს სასურველი და სანატრელი,
 იგია მარტო თავის დედის ნუგეშ მცემელი,
 იგია ჩემი სიცოცხლე და სიხარული,
 იმითი მიდგა უძღლურს ტანში უძღლური სული,
 ჩემის სიბერის მისაყრდამათ ისლა მშთენია,
 მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია!“...


(გაგრძელება იქნება).

ს. ქვარიანი.



დიას, ქმელი ამო!

ქვემოთაა



დედა თავის შვილს დახარის, დადრუტუნებს თავსედათ: რა კარგია ეს ტალახი, გავითხვრებით ძალსედათ.

* * *

მზისა სხივები ბნელომ დაჰტარა, ნადირალებმა იწყეს ტრიალი... მრავალს ტანჯავენ სიმართლისათვის... სისხლიან დროშას გააქვს ფრიალი.

ხალხის ორგულნო, ნუ გიხარიათ! ვერა დაჰტარავს ბნელი სიმართლეს, მაშინ სიბნელე უკვე გაჰქრება ოდეს მზე მოჰტენს შუქსა—სინათლეს...

კვანწარანი.

უმოდგომის მოსაგალი.

შემოდგომა... სიცივე წამოდგა ვითა მტარვადი. ტანჯვით მშრამელი გლეხ-გაცი ზის თავის ქახში დამზრადი.

მტენართ გასწვავდა ფურცელი, ქარმა წაიღო ველადა... ერთობ გატიტვლდა ბუნება და მიიძინა სრულადა,

ბუღბუღიც დრახედ განშორდა რა აგრძნო ჭკნობა მტენართა;

დაგვიდარბდა სსმითსე, გადაქცა ვოჯოხეთადა.

—„აქ მოდი ძმაო“, უძახის მდამი უმდომეს, შინ გდებულს:

„დროა გავიდეთ ბრძოლადა ფრთანი ვაკეცნოთ მგლად ქვეულს“!

—„დაიცა ძმაო, რას ჩქარობ, ეინჯა, მცოვა ტანსედა; წინა ტეტხლისა მცოვანი რით გაუძლო ბრძოლის ველსედა?..“

გინა მოკვდარვარ სიცივით და გინა ტყვია მსდამია, ცა მიწვივ რისხვით მბრუნავი ამათ თანსწორად მსდამია...

ზაფხული არის—თელსა დვრის, ზამთარა და სცივიან, მართალი უთქვამს რუსთველსა: „წელული ორჯორეუ სტკივიან“.

შანზე ებრალიძე.



დიდი სიამოვნება მაგრძობინა ქსნის დღეს ბულმა ზ. გ. ერისთავმა. მან მეტად მოიწონა ჩემი წინადადება ძველის შესახებ. მოგეხსენებათ, რომ მან ბრძანა: ძველი რუსთველს უნდა დავუდგათ და არა ილია ჭავჭავაძესაო. მე უფრო კიდევ სამართლიანი აზრი წარმოვსთქვი: ძველი უნდა ავუგოთ თვით ქსნის დიდებულსა მეთქი.

ეს ჩემი აზრი საოცრად დასჯდომია ჭკუში ჩვენს თავადს, თავის თავი უცენია ძველის ღირსად და „ლისტოკში“ ამისი საბუთებიც გამოუქიბია.

„მეო, ბრძანებს ჩვენი დიდებული, „ოდესის უნივერსიტეტში“ ესწავლობდი ვასილ პეტრიაშვილთან ერთად, ვიყავი მისი ამხანაგი, და თუ იგი ღირსად იცნეს ჯერ პროფესორობისა და ახლა რექტორობისა, მე რაღა დავაშავეო. სწორედ ჩინებული საბუთია, იმისთანა საბუთი, რომლის ძალით საქართველო გამდიდრდება იმდენივე ძველით, რამდენიც უსაქმო და უნაყოფო ამხანაგი ჰყავდა პეტრიაშვილს უნივერსიტეტში.

„მეო, განაგრძობს იგივე, დიდად ვიყავი მოწადინებული დაარსებულიყო ჩვენი სამეურნეო საშუალო სასწავლებელი, ამ აზრს თანაუგრძობდა ჩემი ნაამხანაგარი პეტრიაშვილი და დახმარებისათვისაც მზად იყო; მაგრამ ილია ჭავჭავაძემ არ დახურა ახლანდელი ქართული გიმნაზია და მის ნაცვლად არ გახსნა სამეურნეო სასწავლებელიო. ოღონდაც რომ დიდი გულქვაობა გამოუჩენია ილიას, რომელიც დამორჩილებია თავად-აზნაურობის სურვილსა, და არა ჩვენის დიდებულის გულკეთილს წადილსა.

დიდი გულკეთილობის გარდა ჩვენი დიდებული დიდი სიმამაცითაც ყოფილა შემკული. ილიას სიცოცხლის დროს სდუმდა მის შესახებ, საზარელი სიკვდილის შემდეგ კი ბრწყინვალე ტლინკებს ესვრის.

მოდით ამის შემდეგ ნუ დაივიწყებთ ილიას და ნუ ჰყოფთ უკვდავად ჩვენი თავადის სახელს ღირსეული ძველის დადგმით შიგ შუაგულს თბილისში.

ძველი ხუმარა.

მეგობრებო.

მეგობრებო, არ დაეცეთ, გავიყვანოთ ალექსის ხიდი, ბორკილები დავამსხვრიოთ, მოვსპოთ ქვეყნად ცრუ და ფლიდი!

ჩვენც მოგველის სიხარული, დავვიდგება დღე დიადი, ბოროტება ჩასვენდება, როს დადგება განთიადი!

ალ. ჩახუნაშვილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მ უ მ ა კ ს“

„გულით და სულით ნადღენევი
მკირედიც შეიწირების“

6 ა ნ ა .

პაწაწინა ცუგრუმელა,
ჩემო კაკანაო,
ესდევების პარტიაში
ვინ აგიყვანაო?!
კარგათ ვიცი, ჩემო კარგო,
ვინც მოგცა ბინაო,
ვინც გაგათბო, ვინც ჩაგაცვა,
შეგიშვა შინაო!
ეს ის არის ცულლუტობას,
რომ ეძახიანო,
რა კარგათ ჰყეფ, გომზარ-ნიკაპ,
როცა არ გშიანო!

ტრალა, ლალა, ტრალა, ლალა,
გომზარ—ნიკაპაო,
იწკმუტუნე, ვიდრე... ვიდრე...
დაგელალოს ყბაო!

ნუ გაიტებ გულს, წკმუტუნავ,
სხვაც ბევრი არიო,
პარტიაში შენისთანა
კრუ შენაპირიო!
დავესკა ხარ,—ებ რა ვუყოთ,
დამშრალს „წყაროსიო“,
მოვა დრო და შეგეცვლება
ამინდ—ტაროსიო!

ტრალა, ლალა, ტრალა, ლალა,
ჩემო ნიკაპაო,
იწკმუტუნე ვიდრე... ვიდრე...
დაგელალოს ყბაო.

თუ გინდ ეგდო შენ ტალახში,
წავისვან მურიო,
მაინც კიდევ დაიყეფე:
კუჭი და პურიო!
ან თუნდ ქეჩოს ჩაგაგრინხონ
მაგარი წნელიო,
არ მოსძებნო კულ-ქიციანავ
თავვისა ხვრელიო!
მელის სორო ამჯობინე,
შენთვის კარგიაო,
სიწმინდე და სიფაქიზე
მეტი ბარგიაო!
როცა დადლილს, დაქანცულსა
„პროლეტარისთვისო“,
იმედო და მათო მხსნელო,
ბარ-საკვეთ, სახნისო;
უკანასკნელს ოხვრას მისცემ
მალლა ზენასაო,
და ცხვირამდე მიაწვდენავ
ქვემოთა ყბასაო,
მაშინ ჩემო ცუგრუმელა,

აქ არ დაგმარხავთო,
იცი სადა? ევროპაში
მაფლავს გინახავთო!
აბა, როგორ გაკადრებენ
აქაურ მიწასა,
ძეგლათ თავზე დაგადგამენ,
ენგელსსა და მარქსსა!

ტრალა. ლალა, ტრალა, ლალა,
გომზარ—ნიკაპაო,
იწკმუტუნე ვიდრე... ვიდრე...
დაგელალოს ყბაო!

ჰყეფდე ტყეში
და მამალიც მოგეშველებაო,
„პარტია“, „სოციალიზმი“
მით აშენდებაო!
გაივსე და გაიზარდე
პაწია ცუგაო,
პარტიული კლოუნი ხარ,
მისო ცუნცრუკაო!
ითამაშე, იხტუნევი,
როს გაიხდებოი,
ვინ უწყს მაშინ, ჩემო გომზარ,
სად დაეგდებოი!

ტრალა, ლალა, ტრალა, ლალა,
გომზარ-ნიკაპაო,
იწკმუტუნე ვიდრე... ვიდრე...
დაგელალოს ყბაო!

დაგიტირებენ დიდებულს
პამპულს—მოღვაწესო,
ახ, რატომ შენ არა ყევეხარ
ინგლისს, საფრანგეთსო!
ამგვარი ბედი გეწვევა
და არ წამოგცდესო
საფლავიდან სიტყვა რამე
ქართულს რომ გვანდესო!
თორე ჩემო გომზარ-ნიკაპ
აგიღებენ ყბათა,
და უკან წამოსაღებათ
გავვიხდები ხათა!

ტრალა-ლად, ტრალა, ლად,
გომზარ-ნიკაპაო
იწკმუტუნე ვიდრე... ვიდრე
დაგელალება ყბაო!

რიგოლეტო.

დარიგება ნაზიანს.

დაო ჩემო სულიერო!
ოდეს წარმოსქდეს პირისაგან შენისა ღვართ-
ქაფი და გულსა შინა შენსა დაბინავებული ტალახი,
ანუ რომელიმე სიბინძურე სხვა ფეროვანი, აღი-
ფარე „ვეული“ ტუჩთა ზედა შენსა; რამეთუ არა

განიპობოს გულსაფარი შენა და თავი შენი არა წაიშვიკლოს ვინაიდგან ნათქვამ არს:

„კოკასა შიგან რაცა სდგას იგივე წარმოღინდების,“
წამოვა პირისგანა
გულსაფარს დაედინების!
ოდესაც კოკა აივსოს,
თუ ეს ტალახი იქნების,
თვით კოკას იგი ტალახი
თავზედა დაედინების!

მიიღე რჩევა ესე, დაო, ჩემო სულიერო და დასდე საცო პირსა შენსა, რამეთუ ვერ-ოდეს განრეცხავს სიცრუესა და სიყალბე ა შენსა ვერცა „წყარო“ იგი დამშრალი. ვინაიდგან ნათქვამ არს: უკეთუ ძალ-გიძს თავი შენი იცხოვრე!

შემდგომით ამა „რეცეპტისა“ იღერე დაო, ჩემო სიმღერა:

„დათვი ხეზე როგორ ავა...“ და ყოველი დარ-დი და ნალველი-გულსა შინა შენსა განქარდების!

თქვენდამი მრჩობლ-ორკაც ცეცხლ-ფეროვან გრძნობით აღვსილი ჩახმახი.



ქართველ მარქსისტების სამსხვერპლო.


ლიტერატურული ნაგავი.

3-მე ღუმის ლიდერი.



— რაც დღე გ'დის, უფრო და უფრო მატულებს ნაგავი რა ქქნას კაცმა?

კრუშენსკი.
დარვინის თეორიით.



ჩვენი ქართველი მარქსისტი სტრუქტურით კუჭს აკურთხებს, მხოლოდ იგი იყოს საფსე და სამშობლოს მიაფურთხებს!.. მაგრამ მარქსი ბრანწს უხვევებს: ვერ მოგართვი ძამიად, კვარ მითქვამს „კანონცალში“, სჯართველს უკამიად!..

პროპოკატორი თუ იუდა.

სიტყვით გახლავარ ყველას მშველელი, მაგრამ საქმით კი—ღმერთმა დამიხსნას; ხან აქეთა ვარ, ხან იქითა ვარ, ასრე ვატყუებ მთელსა ქვეყანას.

ყველას ვუყვარვარ ჩემის ენითა. ყველა მიძახის ამხანაგს, ძმასა; (ხანდისხან მუშებს გაეასულელებ და ვათქმევენებ მათ „პროგრაზას“).


როცა მეჯლისში ვზივარ მუშებთან, მაშინ გახლავარ ქვეყნის მპყრობელი, მუდამ გავკივი: „მუშები მალა“! „ძირს ძალადობა სისხლის მწოველი“! ხან ვირიცხები პარტიის წევრათ და ხან მდიღრების ვითომ მტერი ვარ; როგორც გამივა ისრე ვმოქმედობ, ყველასთვის მუდამ შესაფერი ვარ.



მესამე ღუმის გახსნა.

ყველა პატივს მცემს მხოლოდ იმიტომ,
რომ სიტყვითა ვარ ყველას ნუგეში;
მე კი ყოველთვის მტყუანს ვამართლებ
და მხოლოდ მართალს ვგზავნი ციხეში.
გრი—ი.

შესანიშნავი ქ ნდაკებანი.



კმაყოფილება, რაზენის ქანდაკება.

ნაღსონიღვან.

არ ვარ მთლად შენი—მე მესახიან
სხვა ცხოვრება და სხვა ოცნებები;
მისგან ვერ მომწყვეტს ვერც მოფერება,
ვერც ნაზის სატრფოს ცხარე ცრემლები.
მის სიყვარულთან ისიცა მახსოვს—
ჩვენი მიზანი არ არის შევებ;
ამ ტანჯულ გულში არ ჩამიჭრია
სიმართლისადმი მე მისწრაფება.
არ მივაცურებ ნაპირისაკენ
ჩემ ცხოვრების ნავს სულმოკლეობით
და ვეშურები მრისხანე ომში
გარემოცული შავის ღრუბლებით.



ღმერთმა გვიმრავლოს სამი ივნისი,
„ჭეშმარიტ რუსთა“ რომ ემსახურა,
შემარტყენენი გახანხურა
სტოტყებდეს „ღუმს“!. ურა და ურა!..

ბედნიერი ცოლ-ქმარი.


ქმარი. მოდი, დღეს ქართულ თეატრში წვედიეთ,
ჩემო კარგო.
ცოლი მერე რა წარმოდგენაა დღეს ისეთი, რომ
მეპატიუები?
ქმარი. ერთს კომედიას თამაშობენ, რომელიც მე
და შენ დიდი ხანია, რაც არ გვინახავს...
ცოლი. აბა, რა კომედიაა?
ქმარი. ერთ—მოქმედებიანი კომედია „ბედნიერი
ცოლქმრობა“.

ალამიანთა სურვილები

სინათლეში—სიბნელე გვსურს.
სიბნელეში—სინათლე გვწყურიათ.
ზაფხულში—ზამთარსა ვჰნატრობთ.
ზამთარში—ზაფხულზედა ვფიქრობთ.
ბაღებში სეირნობის დროს—ვჰგმობთ ყოველს „შა-
ნტანს“.
ღრამებში-კი—ვჰნატრობთ „შანტანს“.
ფხიზელნი—ღვინოს ჭიქაში ვასხამთ.
სიფხიზლეს-კი—ყოველი ლოთი აქებს.

მ რ ი ლ ე თ ე:

აქტორი და რეჟისორი.



„კონკას“, სადაც ქერა-თმიანები, წლოვანებისა და წოდების განურჩევლად, გამოგებმაურებიან ხოლმე დღევანდელ პოლიტიკაზე და „საინტერესო“ ლაპარაკში ჩავითრევენ...

მეგტლებს, რომელნიც ყოველსავე თქვენს იღუმალ საუბარს ჩუმად ყურს უგდებენ და თქვენს ბინასაც ტყობილობენ.

კაპწია რუსის ქალებს, რომელნიც ამ ბოლოდროს ძრიელ გამრავლდენ ყველგან და რომელნიც ისე ამოგვეკვრებიან გვერდში, როგორც ლავაში თონესა...

გიმნაზიის შეგირდებს, ორივე სქესთა, რომელნიც „პატრიოტიულ საზოგადოების“ წევრად ჩიწერილან და მასწავლებელთა და მოწაფეთა გულში ძვრებიან...

მღვდლებს, ავტოკეფალიის მოწინააღმდეგეთ...

პარტიებს, ავტონომიის მოწინააღმდეგეთ და ცენტრალიზაციის მოტრფილეთ...

შვიერ ამხანაგებს, რომელთაც ცხოვრების სახსრად „დანოსები“ გაუხთიათ...

მოხელეებს—ჩინოსანს, კაკარდოსანს, ეპოლეტოსანს და განსაკუთრებით „დვაცატნიკებს“, რომელთაც „დვაცატოე ჩისლო“ თვეში ორჯერ სურთ დააწესონ...

თქვენ თავსაც, თუ საუბარა და ლაპარაკი მარტო ლაპარაკისათვის გიყვართ და არა სქმისათვის...

„სოციალისტ“ ვაჭრის აღსარება.

მე მსურს—ჩემი საქმეები გამოვჩანო, მოვკარგო, ხაღხის თვალში კანად დაუჩნე, ვეკლას ვუთხრა „ამხანაგა“.
ვნატრობ—სხვისი საკუთრება ხელთ მოვიგდო, ის ავბარგო, ვეკლასთან თავს გავიმართლებ: „ბრძოლა არის ამხანაგა“.

თუ კი ვინმე ამხინდა, გამიცრუვა ჩემი მამა, მოვინათლა „ბრძოლაკატრად“, და ვეტყვი: „ძირს ამხანაგა“!

ეს დეკლარაცია სურს შევქცევი, თუ არ მეშინია, თუ არ მარგო, „შანტაჟისტებს“ მივემხრობი, მათ ვუწოდებ „ამხანაგა“ დროით უნდა ვისარგებლო, ეს „მოქმეტი“ რად დაგკარგო.

და თუ ვინმემ რამე მითხრა—თავს ნუ იგდებ „ამხანაგა“ მე ვიწვადო, ვიხანჩადო და კიდევ სხვასაც ვარგო? სხვისი ჭირი სხვამა ზიდოს, „ხომ ასეა ამხანაგა“!

ს. ა. ს.



აქტ. ღვთის გულისათვის, ერთი ამისთვის, რასა ნიშნავს სიტყვა ინტერპრეტაცია?

რეც. აქტიორი კაცი ხარ და არ იცი?

აქტ. რა ვქნა, მეგობარო, არ ვიცი და მაგისათვის ხომ ვერ მომკლავ?

რეც. კაცო, როგორ არ იცი, არ გახსოვს შარშან მეიერხოლდის დასის აფიშების ქვეშ რომ აწერდნენ, ინტერპრეტაცია მეიერხოლდისაო? ის არის რაღა!

აქტ. ჰოა! ეგრე სთქვი რაღა, შე დალოცვილო, თორემ მე გინება მეგონა და შენ კიდე ქება.

ამდროინდელი ანდაზები.

გლახაა ის კაცი, რომელიც დედ-მამას ცოტა გაუღახავს.

თუ არ უჩვენე და არ გასწეწე—ანაბანასაც ვერ დაასწავლი.

ყური—სული არ არის, შეიძლება მოუსრისო. მათრახი კარგია, თუ ხელში აღება არ გეზარება. დარიგება—გასწორების დედაა.

კაცი, რომელსაც ქალი მუხლებზე დაუჯდება—უთავოა.

ქალის გულისათვის ხშირად კაცი თავს იკლავს, რომელიც თოფის წამლად არცა ღირს.

მთვარე არის შეყვარებულთა მფარველი—და ქურდისაც.

სამხედრო სამსახურში ქალები რატომ არ გაჰყავთ? იმიტომ რომ, ლაშქარი მარტო მბრძანებლობისაგან არ შესდგება.

მეგობრობა, პატიოსნება, სიყვარული და პატივის-ცემა ეძიე მხოლოდ და მხოლოდ—შენს ქისაში.

ხელი-ხელსა ჰბანსო, ამბობენ. ჰო და ამიტომაც ყოფილა ქვეყნიერობაზე ასეთი სიბინძურე.

პ ა ს უ ხ ი ს მ ა ზ ი მ რ

ორნი, ტოლნი, безпардонный „სპერანზა“ და „ლას ყი—ანი“, ხეჩატურას დევ-გმირები, გრძნობით, აზრით ჭუჭყიანნი...

ბოდვით, როტვით, ღვარძლიობით ერთი მეორეს მჯობია, მოსყიდული წუნკლებივით შინაურთა დამგმობია.

ყვეფით, ღრენით, აზრთა რყევით ორნივე ტყუბად ცნობილია, რა ხანია გამწყდარი აქვთ შუბლის ძარღვი—სირცხვილია!..

მტრობა, გმობა, უგნურობა თავის ხატად აღიარეს, ქართველობის შესაბლალად სომხის „ფოლით“ ეზიარეს!

მონადირე



კარძო წარილი „ნივალური“-ს რედაქტორის.

პროვინცია.

ეროვნული

ქუთაისის რამე-რედაქციის მიერ

მეწიანს შენმა ღებენმა, რომ წამსვე ნიშადურია, შენი სისხლი და ხორცი ვარ—გამწირე ვითა ურია, მართალი არის რაცა სთქვი, ვინც არ მოგდის მტრობითა, მაგრამ რასაცა მე ვსჩადი, ეს ხდება თანხმობითა.

„მავლე“ წერილებს აცხადებს „ნივალური“ ჰქრეფს ბეჭებსა, „ხარბუხანია“ სდარჯობს—არა შეეშინვას „ტიტესა“... მე ვი... ჩემ თავად თავი ვარ ფულებს ვდებულად შრომაში,

ვინ რას გამოჩნა ამ სოფელს უსაქმურად და ჯდომში?... გასწავლას თუ რომ შევნიშნე უტყუარა ჯობის ქონია, ამისთვის უნდა მოვსძებნო სდასარი, გზა და ფინია... ვუბრძანა: „თოფი-არდასთვის შემოგველია ფარა, და შევლას ითხოვს—შენგანა, ვინც დღემდე დავიფარა,

თუ, გამოგზავნი, ხომ კარგი, თხმხრავი იქნები ღადათა. ჩვენი „ზარტია“ დავფარავს არ გაგზადის კანის-კანათა, და, თუ უარი შეგვკადრე, გაგიწერა ჩვენი გამჩენი, რაც უნდა თავი დამაღო—დაგინჯდებოდა მზე დღენი,—ზარბაზანს გესვრით... ბომბებით მიგვგვეფრთ შეილი შვილითა,

ძუძუ მწოვარა ბადანას დავიგვეფრთებით კბილითა. ავიწიოკებთ სხლ-კარას, ამოგებუგავთ ვეფლასა, ტუვილა იმედს ნუ მისძებნი. ვერსად იბოვნი შევლასა, შენ არ გეგონოს ამ წერილს გწერდეს ვიდაცა ბადანა, თუ ფულებს მოგვცემ—იცოცხლებ, თუ არა—მოჩნა ქაჯასა ნა!...

რომ არ ელოდე იმ ადგილს დავსვდებოდა სულთა მსუთავი, და მერე გვიან იქნება ის, რაც ვი შენს თავს უყავი... ამგვარად ვსცხვრებთ, იძლევა დღეს გასწავრა სვლავოფა,

დმერთმა დღე მისცეთ, ისინი ბეჭრს ჩვენისთანა ეყოფა. და შენ ვი ჩვენს „ნიშადურ“, რომ იღანძღებო ამისთვის, იქნებ ჰყოქრობ მადლობა მაიღო მაგის გულისთვის?... ღანძღვა რა სავადრისია და ან მხილება მავგვარა

ვინ გასწავრა, შენ გასწავდე, მინდობი და მთა და ბარი... ისევ ის გიჯობს ადიდო ჩემებრ მშრომელი შვილია, თორემ გასწავდეს, ხომ მოგვკლეს დიდი ხოფტი იღია, ის არ დახოვეს და მის გზას შენც გავამგზავრეთ ძალათა,

არც ეს წერილი დაბეჭდო ჩვენ სამტრო ხათბადათა, ეს კერძო გაფრთხილებაა პრესბიტერსე მოფიქრებული, გწერს: **შანტაუისტო კავშირი ჰქვა გრძობა და ბრძამებელი.**

ნამდვილთან სწორია—სოსო.



— როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, ნაფიც ვე-ქილს ა. ს. გელაზაროვს, რომელმაც „ერთობის“ დროს სოციალდემოკრატიზმის დიპლომი მიიღო, სერგო ჯაფარიძის მიერ ბეჭედდასმული, ხელსაყრელად ველარ დაუნახავს ხსენებულ პარტიის წევრობა, რადგან ზოგიერთს „ამხანაგს“ საქმის დაცვაში (უკეთ რომა ვთქვათ—საქმის დასაცველად გამოსვლაში) პონორარი ვერ მიუცია, და ისევ „ვექილე-ბის პარტიაში“ ჩაწერილა. ამბობენ, ამავე მიზეზის გამო სერგო ჯაფარიძეც ვერაა ბედის მადლიერიო.

— იაკობ ფანცხავა ძლიერ დაუშინებია ქალაქის მეფარნეების აბლაკატის „წელკავის“ წერილს (იხ. „ცისკარი“ № 7) და ნება დაურთავს მეფარნეებისათვის, რამდენიც გნებავთ ნავთი იპარეთ, რამდენიცა ვსურთ „სპიჩკა“ („წელკავის ქართულია, ბარემ „სიფჩა“ იხმაროს) ხარჯეთ, შრომის შესამკირებლად ფარნებს მთვარიან ღამეში კი არა, მზიანს დღეებშიაც ნუ გააქრობთ, ნავთის უსარგებლოდ დაწვა სრულაად ნუ გენადვლებათ, ოლონდ კი ეს ოხერი „წელკავი“ ჩამომაცალეთ თავის სიცრუე-ცილის წამებითა და დაბლაგული ოხუნჯობითო.

— ქუთაისის მეფურნეებს ერთხმად დაუდგენიათ უბრალო პურის ნაცვლად სულ ხაქაპურები აცხონ, მხოლოდ ყველის მაგივრად კი იხმარონ ხორცი... ხარაბუხებისა, ხოქოებისა, ქიებისა და სხ.

— საბაზრო კომისიას საშინელი უსუფთაობა აღმოუჩენია ქალაქის შენობაში მოთავსებულს ფურნეში; ამიტომ დაუდგენია სამართალში მისცეს ქალაქის გამგეობა სანიტარულ წესდების დარღვევისათვის.

— კათოლიკეების ეკლესიის წინამძღვარს პატრს დონ-დამიანეს, რომელიც ქუთაისში ცნობილია, როგორც მეტად ღვთის მოყვარე სულიერი მამა, მეგვარეთა და მოყვასთა თვისთა შემბრალ-შემწყალე, თავისი თავი თვითმპყრობელ მონარქად გამოუტყუანდებია და თავის მოქმედებებში, სასულიეროსა თუ საეროში, არავის არავითარს ანგარიშს არ აძლევს: მასწავლების მიღება, თუ დათხოვნა, პენსიების დანიშვნა, თუ მოსპობა, თავის სადგომ სასახლე-მონასტრის გასამშენიერებლად ათასობით ფულის ხარჯვა და სხვა ამგვარები მარტო მისი სურვილის თანახმად ხდება. თუმცა კათოლიკეებს არჩეული ჰყავთ ვერეთ წოდებული ძმათ უფროსები, რომელნიც მონაწილეობას უნდა იღებდნენ მონასტრის საოჯახო-სამეურნეო და სხვა საერო ხასიათის კითხვების განხილვა-გადაწყვეტაში,

მაგრამ მათი მოღვაწეობა მხოლოდ იმით განისაზღვრება, რომ ბრძალ ხელს აწერენ პატრის მიერ შედგენილ ანგარიშებს და ამგვარად აკანონებენ მის უკანონობას.

— პირველდაწყებით საქალაქო სასწავლებლის ზედამხედველს, კლუბში კარგად ცნობილს ვ. პეტრიაშვილს, ამას წინადა ქალაქის საბჭომ ყოველ წლიურ პენსიად 1000 მანეთი დაუნიშნა მხოლოდ იმ პირობით, თუ ის სასწავლებელს თავს დაანებებდა. როგორც ეხლა გავიგეთ, პატივცემულ პედაგოგს წინადადება მიუცია ქალაქის საბჭოსათვის, თუ, ვინაიდან, ჩემ მაგიერი ზედამხედველის შიშგანა გაგიტირდეთ, მე მზადა ვარ დაგდოთ პატივი და იდეგ ვემსახურო ქალაქის ინტერესებს, მხოლოდ იმ პირობით კი, თუ ერთსა და იმავე დროს პენსიას გარდა ჯამაგირსაც მომცემთო, ე. ი. წლიურად მხოლოდ 2500 მანეთს დაგჯერდებითო. ქალაქის საბჭო თურმე მეტად გახარებულია ბნ პეტრიაშვილის ასეთის თავაზიანობით და, რასაკვირველია, კიდო დატოვებს ძველს ადგილზე.

მეგობარი.

პრინციპიალური კითხვა



(სპერენძასებურად)

— შესაწინააღმდეგებია თუ არა ერთხელ დაბეჭდილ ბო-
დვის ხელშეკრულებს დაბეჭდვა?

— რატომაც არა! შესაწინააღმდეგებელი კი არაა წესდებურიც არა. რაც უფრო მეტი აბდა-უბდას ცოცხლის კაღმოსანი, მით უფრო მადლა სდგან ჩვენისთანა მგოსანი. ნეტა ერთსა და იმავე დღეს ერთსა და იმავე ნაცოცხლის დაბეჭდვა შეიძლება დღეს ყველა რუსულ ქართულ სამხურ უუნაღ გაზეთებში და ისიც სიფასურით! სხვა არ იყოს რა გაზეთებს ნაკავს არ მოვაკლებთ და ჩვენც სიცოცხლის არ მოვიკლებთ...

— დას, ზრინცაბ... ცაბ, ცაბ-ცაბ!..

ჩონატურლების საყურადღებოთ.

თუ გინდათ სამუდამოთ მოარჩინოთ თქვენნი ავათმყოფი, მოიწვიეთ ონოფრე, გაასინჯვიეთ უნ-

დოპი და დააწერიეთ რეცი; იმავე ონოფრესი უკანასკნელი რჩევისა თანახმით მიუტანეთ ადგილობრივ „აზნაავს“, ხალხის ჭირისუფლის და წამალი შეამზადინეთ; წამალი, როგორც აქაური მექორეები ამბობენ, უებარია, ნაცადი.

ძმობილების ადრესი მოიკითხეთ კალისტრატე ოსტეფეშვილთან, რომელიც მადლობელია მათი და ჩივის „ნამეტარი კაი წამალია“.

ეკალი.

P. S. ილიკოები და ონოფრეები ბევრია აქეთ, მაგრამ მე მარტო ორ ძმობილებზე მოგახსენებთ, რომელნიც ქართულ ანდაზას ასურათხატებენ— ქურდის თავზე ცეცხლმოკიდებულ ქულზე.

ეკალი.

სოფ. ძირულა (შორაპნის მაზრა) ეს სოფელი თავისი შავ რაზმებით-და პროვოკატორობით ცნობილია... არც ერთ პატიოსან მშრომელს აქ არ გაეძღვინება. წამ და უწუმ ათას ნაირ უსიამოვნებას და სიკვდილს უნდა მოელოდეს. ვისაც ჯიბე სქელი აქვს—იმას კიდე როგორც არის გააქვს საქმე—მაგრამ ვაი იმას ვისაც არაფერი აბადია. შორაპნის მეფეს მახარაძეს აქ ყავს განმწესებული თავის მოადგილე-მენაცვლეთ ვინმე სტრაჟნიკი მამია ნიჟრაძე და როგორც ხალიფის მოადგილეს შეშვენის მამიაც დიდებულათ იქცევა—ხან ერთს ტყეპავს და ხან მეორეს. რომ ეს მოვლენა ტყუილი არავის ეგონოს მოვიყვანთ ერთს მაგალითს: ამ რამოდენიმე ხნის წინეთ, მამიას სოფლათ მოუსურვებია გასეირნება სუფთა ჰაერზედ. (რისთვის აღძვრია მის კეთილშობას ეს ნატვრა ადვილი გამოსაცნობია) როცა მათი ელვარება დამტკბარა ბუნების სიმშვენიერით და სეირნობაც მოყირკებია, სწვევია ყარამან გელაშვილს თავის ამალით. რალაც მოლაპარაკება მომხდარა გელაშვილსა და მამიას შორის. შემდეგ მამიამ ბრძოლა გამოუცხადა ყარამან გელაშვილის. შეიქნა ხელ ჩართული ომი... აღარ ინდობდნენ თურმე არც დიდს და არც პატარას, არც დედაკაცს და არც მამაკაცს. ყველა მიბრეგეს— მიტყაპეს. იერიში გათავდა. ტყვეთ ჩაიგდეს ხელში ნაცემ ნაგვემი ყარამან გელაშვილი და ჩამოიყვანეს ძირულაში აქ ხელახლა დაიწყო დიპლომატიური მოლაპარაკება, რის შემდეგ გელაშვილი გაათავისუფლეს.

გამოვიდა მამია გამარჯვებული და, გვეგონია, რომ ამნაირი მოღვაწეობა პირველი და უკანასკნელი არ ყოფილა მათი აღმატებულების მხრით. ჩვენ არ გვიკვირს მამიას ამ ნაირი მოღვაწეობა—გვიკვირს მხოლოდ ის რომ, ვისგანაც ჯერ არს ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევენ მის მოქმედება.

ებანოიძე.



— ვა, აუეტიქ ანაქელის, ეს რა ამბავია?.. დუქნები რად დაგვიკეტნიათ? საბასტოვკაა?..

— რის საბასტოვკა! აი იმ გონადოვრის გუყანაულებო, ანაგინ მიუზარდს და ან მოგვიკლან, თორემ სამ იცია!..

დ. ცხინვალი. ჩვენ, დაბელები, მოულოდნელს კატასტროფას მოვესწარით. არეულ ცის ჰორიზონტზე გამოჩნდა ღვია ღრუბლები, რომელმაც დააბნელა მთელი შუა ქართლის მიდამოები და ელვის სისწრაფით თან მოჰყვა საშინელი ქარი-შხალი, რომელიც წარღვნას უქადის დაბედშავებულ, ისედაც დაკნინებულ-გამვალტყავებულ გლეხობას. გორის სატუსალოდან გაუნთავისუფლებიათ ცნობილი ტატო და... დღეს ცხინვალელებს ზურნა-დაფა-ნაღარით გვესტუმრა. მას მიემხრო რამდენიმე მეგობარი და კულა-ყანწების ტრიალით ქეიფობას განაგრძობენ. იმ დღეს იწყინა ერთმა პატარა—თვითმპყრობელმა და ეს ვაჟბატონები გაამათრახა. გრცხვენოდეთ, რომ ამისთანა ავაზაკს აჰყოლიხართ და არ გეზიზღებათ ეს გარეწარი, კენი, აბელის მკვლელო. საზოგადოდ მომეტებული ნაწილი ზიზღით შეჰყურებს ამ ტარიერ-მკლავადის მოქმედებას, მაგრამ... დრონი მეფობენ, ქირსაც გაძლე-ბა უნდა.

ჭილყვავი.

შიდა ქართლი უკულმართთა თარეში. დღეს ხელმეორედ ნაწითელ-რაზმელები და შემდეგ გაყაჩაღებულები ტყვეობიდან ჰრუნდებიან და მთავრობას ურიგდებიან: თქვენი მორჩილი-მონა ვართო, მაგრამ... ძაღლის კუდი არ გასწორდება: ჩუმ-ჩუმად თავიანთ მოქმედებას განაგრძობენ და უდანაშაულო ხალხზე თავისუფლად ნავარდობენ. ნუ თუ მათ მომავალი აპატიებს და ხალხი მათ ყოფა-ქცევას შესაფერ მსჯავრს არ დასდებს?— მყობადი ამას დავგანახებებს...

ჭილყვავი.



ქალ-ვაჟიანი.

კარი I.

იყო ვინმე ვაჟი ქალაქსა რომელსამე. იყო თვისათ და არა ეკარებოდა სულთა მათ ეშმაკეულთა. რამეთუ ეზიზღებოდა ფარისევლობა მათი, გულ-გოროზობა, ცბიერება და სიცრუე. ხოლო ამხელდა მათ და ეტყოდათ წინაშე ხალხისა: გველნი სოროსანი და მელანი ხვრელისანი ხართ თქვენ; ნაშობნი იქედნისანი და ვასილისკონო ჯურღმულისანი, არა ადამიანთა სავარძელსა ზედა ზიხართ, და მშობლისა თქვენისა მკვლელს ამბორსა უშვრებით. აღვსილხართ განდიდებითა; ვითარცა წურბელა მანკიერისა სისხლით. რამეთუ ორ პირ ხართ და არაოდეს მუცელი თქვენი არა აღივსოს. ხელთა ავილიათ კვართი წმინდა, და სახელითა მისითა ყუყსა შვრებით, რამეთუ ჯანბანნი ხართ. აწ ვილტვი თქვენგან, ვიდრე ოდენ ქოჩორი თქვენი არ ნახავს მიწასა, რამეთუ მერანი, რომელსა ზედა შემჯდარხართ, ლაგამსა წარიწყვეტს და გტყორცნით თქვენ ვითარცა სადავესა მისისა მპყრობელთ, უღირსნი, უმეცარნი და ვერაგნოვო!

იყო რა სიტყვა ესე ყრმისა მის ეშმაკეულთა მათდამი ვაჟი იგი განერიდა მათ და შეუდგა გზასა მას რომლითაცა კვალადცა ვიდოდა.

ხოლო ეშმაკეულთა მათ ირცხვინეს სიტყვანი ვაჟისანი, ფრიად განწიწმატდენ, გაცხარდნენ, და შეიქმნენ ვითარცა შმაგი! განიზრახეს ვაჟისა მის გაცამტვერება. მეჯლისსა ზედა თვისსა გადაწყვიტეს ჯერ დაღრჩობა, მერე გამათრახება და შემდეგ გადასახლება სისხლისა ალყათა მოხსნამდე. რამეთუ ნათქვამ არს ფარისევლთა რჯულსა შიგან: რომელმა გამხილოს შენ ჯვარს აცვი იგი!

ხოლო ყრმამან მან არც ფეხი მოიცივალა, არცა თუ ფერი შეიცვალა! ვინაიდგან პირდაპირობა იყო მისი მახვილი და სიმათლე შუბი მისი. ბევრიცა ქამანდი რამე უგდეს, ბევრიცა ჯადო რამე განიზრახეს, მაგრამ ღმერთი სიმათლისა არ ტოვებდა მას და ყოველნი მტერნი ილტოდნენ წინაშე მისსა. ჩაფიქრდნენ ბოროტნი და უკანასკნელი ხერხი რამე მოიგონეს: ბანოვანი ვინმე, თვისთა დასთავან მიეგზავნათ, ასე რომა ვაჟი იგი ტყვე ექმნა.

დილასა რომელსამე, აღვილსა „ზილფოვანსა“ შეხვდა მას ქალი ვინმე საღამოსა მზავსი. ლაწვებიდან მისისა ვარდნი აკრეფილიყვნენ, მისსა ტუჩთავან ლაქლაქნი ჩამოწყვეტილიყვნენ, ყელსა ზედა უანყრატო ბაყაყათა იყურებოდა. თვალთა არშია გახუნებოდათ, ყბა ბუხარსა მკვარტლოვანსა ეტოქებოდა და იყო ვითარცა მორგვი, „ესდერკამენშევიკა“.

შეხვდა რა ვაჟსა მას ლეჩაქისა კული შესტყორცნა! ყრმა უვნებელი გადარჩა. ექმნებოდა თვალთავან შავნი სხივნი წასტყორცნისა და სიცილი მოუვიდა! მაშინ ეშმაკეულმან მან „ტურნი“ რამე გააკეთა და ვაჟს ცხვირის სიგძე-სიგანე მანძილზე მიუახლოვდა.

— ჰი, ვაჟო! უნდა ის სასმელი გასვა, რომელიც მისმეფია ოთხმოცდა-ცხრამეტისათვისო.

— ნება შენი ასრულდესო. მიუგო ვაჟმა.

მაშინ დაუძახა ქალმა თვისთა მეგობართ: ოქროს ფეროვან წითელსა კარის ვეზირს და სხვა დიდრონსა თვისისა გულისა თავადებს და ასეთი პირობა დასდეს: თუ ქალი მოერიოს ვაჟსა—თავი მოსჭრას და თუ ქალს ვაჟი მოერიოს, ქალმან ჩიქილა თვისი ბანაკსა თვისსა დახუროს.

ეს სიტყვა ორთავ იყაბულეს, დადგეს ოქროს სკამი და დასვეს ვაჟი.

ქალმა ჰკითხა ვაჟსა: ისენი ვინ არიან, რომ შობილან და აღარც მოკვდებიანო?

ვაჟმა მიუგო ქალსა: ესენი არიან ქართველი მარქსისტ-იდეოლოგნი, რომელნიც კაცობრიობას რომ ბოლო მოეღოს, მაინც ცოცხალნი იქნებიანო.

ქალმა ჰკითხა: ის რომელი საფლავი იყო, რომელიც იძროდა და დაიარებოდაო?

ვაჟმა მიუგო: ეგ რუსეთის „დუმა“ იყო, რომელიც მკედარი განაგრძობდა მოძრაობასაო.

ქალმა ჰკითხა: ის რომელი იყო, რომ ორჯელ მოკლესო?

ვაჟმა მიუგო: ეგეც რუსეთის „დუმაა“.

ქალმა ჰკითხა: ის რომელილა იყო, რომ მესამეთი გაცოცხლდაო?

ვაჟმა მიუგო: ეგეც რუსეთის „დუმაა“, რომელიც მგზავსათ სტალინის წერილისა მესამეჯერ აღსდგა მკვდრეთით და ამაღლდა პეტერბურგს და მუნ მჯდომარე არს მარჯვენით პურიშკევიჩისაო.

ქალმა ჰკითხა: ის სამნი ვინ იყვნენ, რომელნიც ქაჯეთის ციხის ასაღებათ გაგზავნესო.

ვაჟმა მიუგო: ეგენი არიან ქართველი სამი დეპუტატი „დუმაში“: ტარიელ ჩხეიძე, ფრიდონ შერვაშიძე და ავთანდილ გეგეჭკორიო.

ქალმა ჰკითხა: ის ვინ იქნება, რომ მოკვდება არც ტანი საფლავში ჩავა და არც სული ღმერთთან წავაო?

ვაჟმა მიუგო: ეგ ჯოჯოხეთის ტარტაროზიაო.

ქალმა ჰკითხა: ის რომელნი არიან, რომ გამშრალი „წყარო“ ედემი ჰგონიათო?

ვაჟმა მიუგო: ეგ ის ხაშიშით მთვრალი მართლ მორწმუნენი არიან, რომელნიც პროლეტარს სამოთხეს ჰპირდებიანო.

ქალმა ჰკითხა: ის რომელი კანდიდატია, უადგილოთ რო დაიარებაო?

ვაჟმა მიუგო: ეგ ევეგენი დვალია, რომელიც საავათმყოფოში საგიჟეთის განყოფილებაში უადგილობის გამო გარეთ იტანჯებოა.

ქალმა ჰკითხა: ის ვინ არიან, რომელთაც კულში ფეხი დაადგეს და მათ ჩხავილი მორაგესო?

ვაჟმა მიუგო: ეს გაზ. „წყარო“ და ბანოვანი აზიანია, რომელთაგან პირველი შეცდომაში დაიჭირეს, ხოლო მეორე სიცრუეშიო.

ქალმა ჰკითხა: ის ვინ არიან, რომელნიც უდაბნოსა შიგან ქადაგებენო?

ვაჟმა მიუგო: ეს ის „ესდევები“ არიან, რომელნიც ამტკიცებენ სოციალიზმი მახათას გორაზე *) მოსულა, ავიდეთ და ჩამოვიტანოთო.

ქალმა ჰკითხა: ის რომელია, აკაკის რო ჯერ წითელ-კვერცხათ გაუგორდა და მერე კი გამოუგორდაო.

ვაჟმა მიუგო: ეგ ის გალაყებული კვერცხია, რომელსაც კრუხი გარეთ გადმოაგდებს ხოლმე და საიღამაც „ეშმაკი“ გამოძვრებისო.

ქალმა უთხრა: ადექ და წადიო, დღეს გადაშირჩი, ხვალე კი გაგისტუმრებ საიქიოსო.

ვაჟი წავიდა; ორივენი მეორე დილას გულის ფაცქალით მოელოდნენ...

(შემდეგი იქნება)

თქვენი რიგოლეთო



შავხნელი დღეები.

(პეტრიელის ნამბობი.)

II

როგორც ზემოთ მოგიყევით, შუა იანვარში შემოაწია ჯარის შემოსვლის ხმამ სოფლათ და დანამდილებით რომ გავვეგო ეს არა სასიამოვნო ამბავი, ამოვირჩიეთ ჩვენს შორის სამიოდე მარჯვე ბიჭები და დასაზვერავეთ გავზავნეთ. მზე გადახრილი იქნებოდა. სირბილ-სირბილით მოვარდნენ და ეკლესიის ეზოში თავმოყრილ საზოგადოებას გამოგვიცხადეს: მდ. „რომარის“ ნაპირზე ოთხიათასი კაცზედ მეტი იქნება, რომ ებარებოიანო. შენს დამაწყევარს ის დღე, რაც ჩვენ მაშინ გავიარეთ!.. დიდიან პატარეებიანათ შიშით აცხადებდით, გულს შეუსვენებლივ გაქონდა ბათქი-ბუთქი, ბოშო! სოფელი დაცარიელდა, ერთი საათის განმავლობაში ერთიანათ ავიბარგენ თ და დასახიზნავათ მივეშურებოდით ტყე-ღრეებში.

*) მახათას გორა—თბილისის ახლოა.

მაღალი ვახშობა იქნებოდა. თოვლ-ბუქში გახვეულები, გამოუთქმელის გაქვირებით მივიწვევებოდით სადღაც, რომ ცოლშვილი შენს ცხინქვით ჩინა თავზე დამტყდარ უბედურებისაგან. სუსხიანსა და ბნელს ღამეში ბავშვების კენესა-ტირილი გაიმოდა და... ხსნა არსით იყო...

სწორედ „შაბაზის“ დროს „პარსელებს“ შემოსევა, რომ გამიგონია ცხონებული ბაბუა ჩემისაგან, ნამდვილათ ის დრო წარმომიდგება თვალწინ. ღამე ერთობ ჩამოწკვარამებულიყო, თვალში თითს ვერ მიატანდი და დასავლეთის ცივი თოვლ-ნარევი ქარიც წინ გველობებოდა; შუა ღამე იქნებოდა, სოფლის ბოლოზედ შემოგვეფეთა ვიღაცები დი ბრძანების კილოთი შამოგვეძახეს:

— ეი! მოითმინეთ, მოითმინეთ, ამხანაგებოვო!..

ეს ხმა ლახვარივით გვეცა ყველას გულში, მაგრამ ვინ იყო პასუხის გამცემი, ყმაწვილო?.. ტყვიას რა გაუმავრდება?.. სამასამდე ურმები შევავრეთ და ყველა მეურმეები ერთად შევქოჩდით. მოვიდა ჩვენთან ხუთიოდე შეიარაღებული კაცი და გამოგვიცხადეს: ვინც თავიანთ ბინაზე არ დაბურუნდებით, გადაწყვეტილია სიკვდილით უნდა დაისაჯოთო!

რა ჯანი იყო, რა უნდა გვექნა? .

შიშის ზარმა, ხოხბის წიწილივით აგვიყვანა, ბოშო! კბილებს სულ რაჭკი-რუჭკი გაქონდა, თან სიცივით, თან შიშით! შენი კარგის თვალთ, რომ მაშინ გენახეთ, როგორც სანთელი ისე დაგწვავდა ჩვენი საცოდაობა. ისრე ვიყავით დამფრთხალი, რომ ერთი „ტრაქი“ სულ ერთიანათ დაგვეჭრიდა ყელებს, ხელის შემბრუნებელი ვიქნებოდით თუ?.. ააა! შენც არ მოუკვდე პეტრიელას!..

მოდი, ბოშო და ჩვენისთანა თავზარ დაცემულ-დაბეჩავებულს ხალხს უთხარი „რეველიცია“ ქენითქო. იმე, იმე, იმე! რა შენი საკადრისია შუა ზამთარში „რეველიცია“ და „ბუნტი“!..

ჩვენც, რასაკვირველია, დავემორჩილეთ სასტიკ ბრძანებას და ურმები მოვებრუნეთ სოფლისაკენ. გათენება მოახლოვებულიყო, რომ სოფლათ ისიც იყო შეკდიოდით, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ აქ-იქ ავარდა ცეცხლის ალი. აუტანელმა შიშმა დაიპყრო მგზავრები, თითქოს ჯოჯოხეთს უახლოვდებოდით. ყოველივე იმედი დავკარგეთ, ისიც იყო, რომ უახლოვდებოდით ჩვენ-ჩვენს ეზო გარემოს და შამოგვეჩება ჩაბლახ-ნაბღებში დაბურუნლი ოცი თუ ოცდაათამდე ცხენოსანი და თოფმაც იქეჭა!..

მოწინავე მეურმემ, საცოდავმა კიმოთემ საზარელის ხმით დაიღრიალა: არიქა დავილუპენითო!.. მარა ხმა გაუწყდა. შემოგვესია ცხენოსნები ლეკურებით და მათრახებით... სწორედ ჯოჯოხეთი იყო ის ღამე, ენა რავა გამოთქვამს, ყმაწვილო, იმ უბე-

დურებას, რაც ჩვენ მაშინ გამოვიარეთ... გაჩნდა წივილ-კივილი, გულის შემზარავი კენესა-ღრიალი... დამფრთხალი ხარები დატვირთული ურმით აქეთ-იქეთ იჩეხებოდნენ კლდე-ღრეებში და ილუპებოდნენ. სიკოიას ურემიც გადაჩეხილიყო კლდეში. მისი ცოლი და სამი პატარა ბავშვი ხარებიანათ დაილუპნენ. ზოსიმეს მათრახის ლაქათი ცალი თვალი წამოვარდნოდა. ზოგს თავი ქონდა გაჩეხილი, ზოგს მხარი და სხვა... კარგათ მოთენებამდის ამ აუწყერელს ჯოჯოხეთის ცეცხლში სისხლით და ცრემლით მოსვრილნი ვტრიალებდით. გათენდა. ცხენოსნებიც დაგვიცილდა ალბათ, სადღაც მიეშურებოდნენ...

დაგლეჯილ-დაწეწილებმა ძლივს ჩავახწიეთ ჩვენ ჩვენს სახლებში...

ბევრს დაგვიხვდა დანახშირებული სახლ-კარი. მესამე დღეს, მთელი სოფელი ბაირაღებით და ხატებით გავემართენით სოფ. „კანცელარიისაკენ“. მისვლისთანავე შემოგვეყარნ და ცოტა არ იყოს ვატყობდი, რომ უხაროდათ ჩვენი ასე დამონავება. მივედით თუ არა „კანცელარიაზე“, გამოგვიცხადეს, ბოშო, „შრაფი“ 5000 მ., იარაღები და „პარპაგანდები“. ჩვენ შევფიცეთ იარაღები არ ვიცით საით აქეთ და „პარპაგანდებს“ ვერ ვიცნობთ, რადგანაც სხვა ქვეყნებიდან იყვნენ და ისევე სადღაც გაიპარნ თქვა. ააა:ა! შენც არ მომიკვდე, ვინ დაგიჯერა! ვილაკამ დაიძახა „ნუკა“ მათრახებითა და ჩამოგვერიენ

ფულის გადახთვის ვადათ ექვსი დღე მოგვეცეს და, წარმოიდგინე, ბოშო, 5000 მანეთის ექვს დღეში გადახთა თუ რა ადვილი იქნებოდა აოხრებულ სოფლისათვის! რა საშველი იყო, ფულზედაც უარს ვეტყოდით?... ისევე მიემართეთ მუხლმოდრეკილი და აცრემლებული ივანეს, რომელსაც ერთი თვის წინეთ, „პარპაგანდის“ წყალობით სიკვდილს და ცეცხლით მუქარას უთვლიდით. აცოცხლოს და ააშენოს ღმდრთმა!.. ხელი გავვიმართა და 5000 მანეთი ორი თვით უსარგებლოთ გვათხოვა, რომელიც ფირცხლად ჩავაბარეთ ბრძანებელს...

სანამდი მევალეს გავისტუმრებდით, ისეთ დღეში ჩავცვინდით, რომ ათასჯელ სიკვდილი ვინაგრეთ. ყოველ ღამით დაუპატიჯებელი სტუმრები ცხრა-ათი კაცი გვეწვევოდა სახლში და რაც ნებავდათ იმას შერებოდნენ. გოგუებს, ბოშო, სულ ერთიანათ... ღვთისაგან ხელ აღებულებმა, ჩვენ თვალწინ ხდიდნენ ნამუს, მათა ოხრები... მეორეთ მოსვლას, რომ იტყვიან ქვემარტად ის იყო ჩვენს თავზედ.

საბჭოელი ბევრი მაქვს, ბოშო, მარა რა ვქნა, როცა შირი წყლით მაქვს საესე და შენ უჩემოთაც

მიხვებები ყველაფერს—„ნასტავლი“ და გონიერი ბრძანდები, მაგრამ აქა-იქ მე მაინც მოგიყვები და შენ, თუ ღმერთი გრწამდეს, ყური დამიძღვრე და აუ, რაიმე დამაკლდეს ნუ დამძღვრე შენი უკეთესი მამის სულს გაფიცებ. შემდეგ კვირისათვისაც, კვლავ, მოგიყვები, რაც ეხლა ვერ დავამთავრე.

ბომბა.

ბანოვანთა შორის

(მოღები)



ნაზიანი



თავაზიანი

შეცდომის განხორცხვა.

„ნიშაღურის“ № 12-ში მე-3 გვერდზე დაბეჭდილია: «ზღვაში უთვალავი საუნჯეა, მაგრამ მშვიდობას იქ ნუ ეძებ, იგი—ზღვის პირსაა».

ამ ფრაზაში სიტყვა იგი მეტია.

ამავე წონურში ვახილ ჩერქეზიშვილის სურათს ზედ აწერია რუსეთის მწერლები და მოღვაწენი—უნდა იყოს ქართველი მწერლები და მოღვაწენი.

„ნიშაღურის“ № 11-ში ლექსი „უკანასკნელი ცრემლის“ ქვეშ აწერია ვლ. პონტელი ჩიქოანი, უნდა იყოს ილია პონტელი--ჩიქოანი.

რედ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.

განცხადება.

ღღეიდან „ნიშაღური“ სურძახათობით გამოვა.

ამ ნომერთან ერთად ვგზავნება ხელისმომწერთ

ნიშაღურის რეზინის კალოშების განცხადება.

ვთხოვთ მკითხველთ მოსთხოვონ ვაზეთის გამყიდველებს განცხადებაც.